სამშობლო დედის მუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1991
სამშაბათი
21
მაისი
№60 (10453)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაი—91

## პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

ჩაი ჩვენი რაიონის ეკონომიკის საფუძველია. სოფლის მეურნეობიდან შემოსავლის 92 პროცენტი ჩაიზე მოდის. მხოლოდ ჩაის კრეფიდან კოლექტიური და სახელმწიფო მეურნეობები 110 მილიონი მანეთის შემოსავალს ღებულობენ წელიწადში. თუ დავუმატებთ იმას, რომ პირველადი გადამმუშავებელი ჩაის ფაბრიკები წელიწადში რაიონში მოკრეფილი 60-70 ათასი ტონა ჩაის ნედლეულის გადამუშავებიდან 162 მილიონი მანეთის პროდუქციას ქმნიან, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ჩაის ფოთლის კრეფისა და მისი გადამუშავების სეზონის ორგანიზებულად დაწყებას.

ამ საკითხებს მიეძღვნა თათბირი, რომელიც გაიმართა რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში 16 მაისს. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩაის მწარმოებელი საზოგადოებრივი მეურნეობების ხელმძღვანელები, ჩაის ფაბრიკების დირექტორები, ახლად არჩეული სოფლის გამგებლები, ქალაქისა და რაიონის პრეფექტურის ხელმძღვანელები.

თათბირს უნდა გაეცა პასუხი შემდეგ კითხვებზე:

1. როგორი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ?
2. რამდენი მოვკრიფოთ?
3. როგორი ანაზღაურება დავაწესოთ კრეფაზე?

პირველმა საკითხმა: თუ როგორი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოვკრიფოთ მწვავე დისკუსია გამოიწვია. აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარემ მ. დემურიამ, რომელიც თათბირზე ინფორმაციებით გამოვიდა აღნიშნა, რომ მიმდინარე ჩაის სეზონი, უნდა წარიმართოს ხარისხიანი ჩაის ფოთლის კრეფით, ვინაიდან უხარისხო პროდუქციას შესაძლოა არსებული ბაზარი გადაეკეტოს, მაშინ ჩვენი ჩაი უნდა გავიდეს საერთაშორისო ბაზარზე და იქ კი მხოლოდ კონკურენტუნარიანი პროდუქციის გასაღება შეიძლება.

კრებამ ერთსულოვნად დაადგინა პირველ საკითხზე შემდეგი: ჩაის ფოთოლი მოიკრიფოს ისეთი ხარისხის, რომლისგანაც მიიღება კონკურენტუნარიანი პროდუქცია.

ვნებები არც მეორე საკითხის განხილვის დროს დამცხრალა. თუ რამდენი ათასი ტონა ჩაი მოიკრიფოს რაიონში ამის განსაზღვრა მხოლოდ ჩაის პლანტაციას შეუძლია.

ადრე როდესაც ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდი განავებდა ჩაის კრეფის ბედსაც, „გეგმა კანონი" იყო. რესპუბლიკას და მის ხელმძღვანელობას „გარდამავალი წითელი დროშების" მისაღებად ყოველწლიურად ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების გაზრდა აწყობდათ და იზრდებოდა ყოველწლიურად ჩაის ფოთლის კრეფის გეგმები ხარისხის საზიანოდ. ზოგიერთი კოლმეურნეობის ჩაის პლანტაცია დღესაც 18 ტონა ფოთოლზეა „დაგეგმილი"

თათბირმა დაადგინა: მოიკრიფოს იმდენი რამდენი ხარისხიანი ფოთოლიც შემოვა ბუჩქზე!

განსაკუთრებული მსჯელობისა და კამათის საგანი გახდა საკითხი თუ როგორი ანაზღაურება უნდა დაწესებულიყო კრეფაზე. ამ საკითხს სხვადასხვა ხელმძღვანელი სხვადასხვანაირად უყურებს. ზოგს 50 კაპიკი აწყობს კილოგრამ ჩაის კრეფაზე ასანაზღაურებლად, ზოგს 60, ზოგსაც მეტი და ა. შ.

ამოსავალი წერტილი ანაზღაურების დასაწესებლად მაინც ერთადერთია: ჩაის ფოთლის კრეფიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს პირველ რიგში მკრეფავთა შრომის ანაზღაურებას, მათ სოციალურ დაცვას (დანამატები ხელფასზე, პენსიები და სხვა) ასევე სოფლის სოციალურ განვითარებას.

ამ მიზნით კოლმეურნეობებსა და მეურნეობებს ადრე ჰქონდათ დაგზავნილი რეკომენდაციები.

თათბირმა დაადგინა, რომ ეს რეკომენდაციები მიღებული ყოფილიყო ძირითადად სახელმძღვანელოდ. აი ისინიც:

| ჩაის ფოთლის ხელით კრეფა | |
|---|---|
| 1—ხარისხი | 60 კაპ. |
| მე-2—ხარისხი | 40 |
| საშუალო | 50 |

| მობილური მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფა | |
|---|---|
| 1—ხარისხი | 20 კაპ. |
| მე-2—ხარისხი | 10 |
| საშუალო | 15 |

| აპარატებით ჩაის ფოთლის კრეფა | |
|---|---|
| 1-ლი—ხარისხი | 50 კაპ. |
| მე-2—ხარისხი | 30 |
| საშუალო | 40 |

რაც შეეხება იჯარის შემთხვევაში ჩაის წარმოების საანგარიშსწორებო ფასებს, ეს ყველა საზოგადოებრივ მეურნეობაში მეიჯარესა და მოიჯარეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულების საფუძველზე დადგენილია.

თათბირის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ როგორც წესი ხმარებიდან იქნას ამოღებული ჩაის საჭრელი ყოველგვარი აკრძალული „იარაღი". კრეფა აწარმოონ ხელით, ჩაის საკრეფი აპარატებითა და მობილური მანქანებით.

გადაწყდა, რომ პრეფექტის განკარგულებით შეიქმნას ჩაის ნედლეულის კრეფისა და დამზადება-გადამუშავების სწორი ორგანიზაციის უზრუნველსაყოფად რაიონული შტაბი. მის გამართულად მუშაობისათვის ყველგან უნდა აღსდგეს რაციითა და ტელეფონით კავშირი.

მეჩაიეთა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის დასახულია მოძრავი ბუფეტებით კვების ორგანიზაცია.

პრეფექტურა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანს ჩაის პლანტაციებისა და ფაბრიკების ელექტროენერგიით, საწვავით და ტრანსპორტით უზრუნველყოფის საკითხს.

საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ნარაზენის ჩაის მეურნეობის დირექტორმა ბორის ლომაიამ, კორცხელის სოფლის გამგებელმა გოჩა რაფავამ, ონარიის ჩაის მეურნეობის წარმომადგენელმა ჯუმბერ ჩაბალუხამ, კახათის სოფლის გამგებელმა თორნიკე ჩახაიამ, რუხის სოფლის გამგებელმა ალიკო თოდუამ, ონარიის ჩაის მეურნეობის დირექტორმა როინ ჯალაღონიამ, ზუგდიდის № 2 ჩაის ფაბრიკის დირექტორმა ზურაბ ნადარეიშვილმა, კორცხელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შუდული გაბედავამ, ნარაზენის ჩაის ფაბრიკის დირექტორმა აპოლონ არახამიამ, ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორმა გენო გოგოხიამ, ზუგდიდის „სოფლნაყოფიერების" გაერთიანების უფროსმა ოთარ ჭანიამ, ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტის მოადგილემ პაატა ჩუხუამ.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა და კონკრეტული წინადადებები შემოიტანა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტმა თამაზ ჟორჟოლიანმა.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების № 31 ტერიტორიული საარჩევნო კომისიისაგან

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სიებში რომლებიც გაზეთ „ოდიშის" წინა ნომერში გამოქვეყნდა ჩვენი მიზეზით (ლიგატურების არასწორად წაკითხვის შედეგად) დაშვებულია შემდეგი ტექნიკური შეცდომა: საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ კომისიის წევრებად დანიშნული პირები რომეო ჩილაჩავა (ანაკლიის უბანში), ულდან შელია (განმუხურის უბანში), როინ თირქია (გრიგოლიშის), შ[illegible]ანში), აკაკი ფიფია (დარჩელის უბანში), გელა შონია (ხეცერის უბანში), რამინ ლაგვილავა (ორსანტიის უბანში), ლევან კვერნაძე (ორულუს უბანში), ნუგზარ გარდავა და არა ქარდავა როგორც გამოქვეყნდა (ოქტომბრის უბანში), მამუკა მაქაცარია (რუხის უბანში), დათო წურწუმია (შამგონის უბანში), მამუკა ფიფია (ტყაის უბანში), ჯონი ციმინტია (ზედაეწერის უბანში) და თამაზ შენგელია (ნარაზენის უბანში) დასახელებულნი არიან სხვა პარტიის მიერ დანიშნულ პირებად, რაც არაა სწორი, ისინი საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ არიან კომისიის წევრებად დანიშნული. მით უფრო რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის მიერ დანიშნულად არიან ხსენებული პირები ჩვენი შეცდომის შედეგად გამოქვეყნებულ სიებში წარდგენილნი, საერთოდ არ მონაწილეობს არანაირ არჩევნებში. ამიტომ ჩვენ ბოდიშს ვუხდით ეროვნულ დემოკრატიულ პარტიას და თვით კომისიის ზემოთ ხსენებულ წევრებს ამ უნებლიე შეცდომისათვის და ვილებთ სახალხო ფრონტის პროტესტს ამის თაობაზე.

საქართველოს სახალხო ფრონტის [illegible] მიერ კრიამ კომისიის წევრებად დანიშნულნი აგრეთვე დათო შამუგია (კიროვის უბანში) და ლევან კუხალეიშვილი (ტელმანის უბანში).

ვთხოვთ საარჩევნო კომისიებს ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიტანონ სათანადო შესწორებები საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა სიებში.

№ 31 ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მ. ჯგუშია.

ზუგდიდი 1991 წ. 20 მაისი.

## საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების № 31 ტერიტორიული საარჩევნო კომისიის მუშაობის გრაფიკი

20 მაისიდან 24 მაისამდე, ტერიტორიული საარჩევნო კომისია მუშაობს 9 საათიდან 22 საათამდე,

25 მაისის 9 საათიდან 28 მაისის 18 საათამდე მორიგეობა წარმოებს განუწყვეტლივ მთელი დღე ღამის განმავლობაში.

№ 31 ტერიტორიული საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
მ. ჯგუშია.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების წინ

# მიაგეთ კეისარს კეისრისა, ხოლო ღმერთს ღმრთისა...

„ვინც თავს არ წირავს თავისუფლებას, ის არის მხოლოდ ბორკილის ღირსი".

გოტფრიდ ავგუსტ ბიურგერი

„თავისუფლებასაც მეთაური სჭირდება"...

ფრიდრიხ შილერი

ძვ. წ. აღ მე-2 ათასწლეულში ეგეოსის ზღვის სანაპიროზე კრეტა—მიკენურმა ცივილიზაციამ თავის აპოგეას მიაღწია. ამ ცივილიზაციას კი ქართველთა შორეული წინაპრების სულიერი და მატერიალური კულტურა ედო ღვრიტად. ცივილიზაციის აღმავლობას თან მოჰყვა საყოველთაო უზნეობის, უსაქციელობის მოჭარბება. რის გამოც აპოკალიპტურმა ღმერთმა წარღვნა მოუვლინა ამ ხალხს. უფალმა მხოლოდ მისი რჩეული, ზნეობით სპეტაკი დევკალიონი გადაარჩინა. წარღვნამ ძირს დასცა ეგეოსური კულტურა.

ადამიანების გაუკუღმართების გამო და მათი მოდგმის განახლების მიზნით ღმერთმა შუამდინარეთის ძირძველი კულტურაც ალგავა პირისაგან მიწისა რაგნაროკის —მსოფლიო ხანძრის გაჩაღებით. მაგრამ მაშინაც ზნეობრივად უზადო, მორწმუნე უთნაფიშთიმი დატოვა უფალმა კაცთა მოდგმის გვარის გასაგრძელებლად.

ხანგრძლივმა ჟამმა განვლო, როცა ბიბლიური სეითისა და კაინის შთამომავლობამ ღმერთი დაივიწყა, ღმერთმა უთხრა ნოეს: „უთხარი ხალხს, შეინანონ ცოდვები და გასწორდეს. თუ არ გასწორდება, წარღვნით დავსჯი"-ო. მაგრამ ხალხი არ გასწორდა. მაშინ უფალმა ისევ მოუვლინა წარღვნა კაცობრიობას და მხოლოდ ღვთის მოშიშ ნოეს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ცოლითურთ.

ცხადია, რომ ჟამიდან ჟამამდე ღმერთი განიკითხავს ადამიანთა მოდგმას მხოლოდ მაშინ, როცა ისინი ღვთისადმი კრძალვას ივიწყებენ, რასაც თან მოჰყვება ხოლმე ზნეობრივი მუხრუჭების კატასტროფული მოშლა.

მე-20 საუკუნის მსოფლიოს მეტწილი ხალხის ცივილიზაციასაც ლატენტურად თუ რელიეფურად თან მოჰყვა ღვთის სჯულის დავიწყება და ზნეობის თანდათანობითი დეგრადაცია. გარყვნილებამ, შიდსის პანდემიამ მსოფლიო მოიცვა. იმძლავრა ნარკომანიამ. ასე რომ ღვთის მორიგი რისხვა შორს არ უნდა იყოს თუ კაცობრიობა გონს არ მოეგო და ისევ ღმერთს არ მიუბრუნდა.

სხვებთან ერთად ეშმაკის მსახვრალი ხელი ძალუმად დაერია ქართველთ ზნეობასაც. საქართველოს რომ დღეს სული სტკივა ეს ისე ნათელია, როგორც დღისა და ღამის პარალელი. მაგრამ განსაკუთრებით სავალალო ისაა, რომ ქართველთა სულიერი მერყეობა „არა ახალია, ძველია"!.

ავწიოთ ფარდა წარსულისა: ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დავით გურამიშვილი ქართველთა გადაგვარებაზე: „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა, აპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა"... მე-19 საუკუნეში ილიამ ლექსით „ბედნიერი ერი", ქართველებს მათივე პოლიმორფული სიმახინჯე დაუსურათხატა ლუარსაბიზმის ქვალიტეტით. ბრბომ ილია ვერ გაიგო. მაში „მაჯის შემტყვებარის" ნაცვლად დუშმანი შეიცნო და ტყვია მიახალა შუბლში.

მე-20 საუკუნეში ბოლშევიზმის ბანგით გაბრუებულ ქართველობას ლეთარგიული ძილით სძინავს. განგებამ ამ დროს ორი დიოსკური მოუვლინა ქართველთ: მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია. პირველი ხორცით დაიფლითა წითელ ურჩხულთან ბრძოლაში და მისი სული ზეცად აღევლინა. მეორემ, უდელში ცალად დარჩენილმა, თუთხმეტ თავიან დრაკონს ლახვარი ჩასცა ცეცხლმრქვეველ ხახაში და შეიქმნა მათ შორის უთანასწორო ბრძოლა, რომელიც დღესაც გრძელდება...

ვარდობის თვის 26-ს ქართველმა ერმა მისი წინამძღოლი—პრეზიდენტი უნდა აირჩიოს. რომელიც წმინდა გიორგივით ძირს დასცემს ურჩხულს და საბოლოოდ იხსნის ქართველობას. ვის ძალუძს ასეთი მძიმე ტვირთი იდვას თავს?!

ქართველების დიდ ერმას სურს პრეზიდენტად ბატონი ზვიად გამსახურდია იხილოს. მაგრამ იზრდება რიცხვი იმ პირებისაც, რომლებიც გამსახურდიასადმი სიძულვილისაგან იყინებიან და ასე გონიათ, საცაა დაიმსხვრევიანო სიმყიფისაგან. ისინი ბუნებრივია, პრეზიდენტობის სხვა და სხვა კანდიდატებს ასახელებენ და ეს ასეც უნდა ხდებოდეს დემოკრატიზმის დროს. ასე, რომ ვარდობისთვის 26-ს ქართველმა ერმა კიდევ ერთხელ უნდა გამოხატოს თავისი აბსოლუტური ნება—აირჩიოს პოლიტიკური მესაჭე.

სამი თვისება უნდა გააჩნდეს პოლიტიკოსს: რკინის ნებისყოფა, ინტუიციის გრძნობა და მართვის ნიჭი. ისიც ცხადია, რომ პოლიტიკური ასპარეზი ადამიანს ფიზიკურად ქანცავს და სულიერადაც ფიტავს.

რაოდენ პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს ცნობილია, რომ ადამიანი შეიძლება იყოს უაღრესად მწიგნობარი, მაგრამ მართვის ნიჭი, ორგანიზაციული უნარი არ გააჩნდეს და პირიქით, იყოს შედარებით უწიგნური, მაგრამ ჩინებულად ართმევდეს თავს მართვას. იშვიათობაა უდიდესი მწიგნობრობისა და უდიდესი ორგანიზატორული უნარის კონცენტრირება ერთ პიროვნებაში. და მაინც, ასეთი პოლიტიკოსები იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, იულიუს კეისარი, ნაპოლეონი, დავით აღმაშენებელი და სხვა.

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს ბატონ ზვიადს როგორც უაღრესად ინდივიდუალური ხედვის ლიტერატორს, ფართო ერუდიციის მქონე ჰუმანიტარს, პოლიგლოტური მისწრაფების ადამიანს—კარგად იცნობს ინტელიგენცია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. რაც შეეხება მის პოლიტიკურ ნიჭსა და გამოცდილებას,—ის სიყრმიდანვე ჩაება ამ ორომტრიალში, თავისთავზე იწვნია პოლიტპატიმრობის სუსხი; საქართველოში, საყოველთაოა მისი პიროვნული პრესტიჟი. ასე რომ ამ ეტაპზე ის ღირსეული კანდიდატია პრეზიდენტობისა.

მაინც რას უყიჟინებენ ბატონ ზვიადს ოპონენტები? —მრავალს! თუნდაც იმას, თითქოს მისი ხელისუფლების სათავეში მოსვლით დაიწყო ნეობოლშევიზმის რესტავრაცია, რომ მან ვერ გადაწყვიტა ეკონომიკური, აგრარული, ეთნოკომფლიქტური საკითხები და ა. შ.

ჯერ ერთი „მრგვალ მაგიდას" ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ინკრიმინაციისა თუ ინსინუაციის საპირისპირო, დამაჯერებელი არგუმენტები გააჩნია. რომლის სუქსესურად ახსნა ამ საგაზეთო სტატიაში ვერ ხერხდება. მეორეც ჩვენ ხომ ვიცით, რომ სახელმწიფო აპარატი ურთულესი მექანიზმია, ძველი სისტემის დაშლა და ახლის აშენება მუტაციურად ნახტომისებურად ვერ ხერხდება. მას ყოველთვის სჭირდება გარკვეული პერიოდი. ახალ მთავრობას ურთულესი და უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო. დაგროვილ პრობლემათა დაძლევა ერთობლივი ძალისხმევით უნდა მოხდეს. არის კი ქართველობა ერთიანი? —არა! ახალშობილ მთავრობას დროის უმოკლეს ვადაში რომელი ერთისათვის მიეხედა; სხვადასხვა პარტიებისა და დაჯგუფებისაგან შემოტევისათვის თუ ექსტრემისტთა და სეპარატისტთა ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის, მაფიისა და ხაბოტაჟისტებისათვის თუ ათასი ჯურის შინაური და გარეშე მტრებისათვის... ყველაზე დიდი უბედურება კი მაინც ის არის, რომ ეკონომიკა ძირიანად მოშლილია, ქვეყანა გაღატაკებულია.

რა გარანტია აქვთ გამსახურდიას ოპონენტებს რომ ქვეყნის ყველა პრობლემას ოპერატიულად, დროის უმცირეს ვადაში გადაწყვეტენ?—არავითარი. არ არსებობს ასეთი გარანტია. მათი დიფამაციური გამოსვლების მიზანი კი ისაა გამსახურდიას ავტორიტეტი შელახონ და თავად მიითვალონ სასურველი ქულები. ბატონ ზვიადისადმი ასეთი მკაცრი პრეტენზიების წაყენება მაშინ იქნებოდა მართებული თუ ის მომავალ საპრეზიდენტო პერიოდში ვერ მოაბამდა თავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა საკითხებს. ასე რომ გამსახურდიას კილვა ჯერ ნაადრევია, უმადურობაა და ემოციური ქმედება.

არავისთვის მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჯოჯოხეთური სიძნელეებით რომ იქნებოდა მოცული. თავისუფლება მსხვერპლს ითხოვს და თითოეულმა თუ არ გავიღეთ იგი, ისევ იმ თანამედროვე მონებად დავრჩებით რაც აქამდე ვიყავით.

ეგვიპტელებისაგან დამონებული ებრაელობა მოსე გამომხსნელის მეთაურობით დაიძრა აღთქმული ქვეყნისაკენ, გზაზე ბევრმა ვერ გაუძლო შიმშილსა და წყურვილს. დრტვინვისა და მცირე მორწმუნეობისათვის უფალმა მათ ორმოც წელს ხეტიალი მიუსაჯა არაბეთის უდაბნოში. ბევრი ითხოვდა ისევ უკან, მონობაში დაბრუნებას. მხოლოდ მოსეს რწმენამ და ძალისხმევამ იხსნა ებრაელობა და მიაღწევინა სანუკვარ თავისუფლებას...

ბევრი წუხს, რომ ტაბლაზე ხორაგი შეუმცირდა და ამას ახალ მთავრობას აბრალებენ. დროა შეისმინოს მავანმა, რომ ქვეყანა „მრგვალ მაგიდას" არ გაუკოტრებია. თანაც მარტო სტომაქის ამოყორვა განა კაცს პირუტყვს არ ამსგავსებს? როცა იესო კაპერნაუმში მივიდა, იქ მას ის ხალხი დაუხვდა, წინა დღეს რომ დააპურა. ისინი კვლავ საჭმელს ითხოვდნენ. იესომ უთხრა, განა მარტო პურით ცოცხლობს ადამიანი? სულზე თუ არ იფიქრა კაცმა, სიბნელე დაისადგურებს მასში. ბევრს ეს არ მოეწონა, გულგატეხილნი გაშორდნენ იესოს...

მრავალნი, უწინ ბატონ ზვიადის მაქებარნი, ახლა ბატონ ზვიადსავე გმობენ, არც ესაა გასაკვირი. არამც თუ გამსახურდია, თვად იესოც გამძინვარებულმა ბრბომ სინაგოგიდან გააგდო და მისი კლდიდან გადაგდება სურდათ, რადგან არ ესმოდათ მისი...

ვიცი, ამ წერილს ახალი მთავრობისადმი მლიქვნელობაში შერაცხავს ზოგიერთი. მათ პასუხად მტკიცედ ვაცხადებ: ჩემი პოზიციაა ობიექტური ვიყო ბატონ გამსახურდიას შეფასებაში და ჩემი ამგვარი მტკიცება ჩემივე რწმენიდან გამომდინარეობს. შეიძლება მოვტყუვდე, ამას მომავალი აჩვენებს. დღეს კი როგორ არ უნდა მწამდეს იმ კაცისა, რომელიც, რაც თავი მახსოვს, იმპერიას ებრძოდა, მე იმასაც ვფიქრობ, რომ ბატონ ზვიადს უნაკლოდ არ უმუშავნია, მაგრამ ვის არ მოსვლია შეცდომა და ისიც პოლიტიკაში? იმედი ვიქონიოთ, რომ ის დახვეწს თავის საქმიანობას.

ისტორიაში ყველაფერია მოსალოდნელი, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ვინიცობაა და დრომ ბატონ გამსახურდიას დღევანდელი ოპოზიციონერები გაამართლა, მაშინ ქართველობა ისე უნდა მოიქცეს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორი ტომას ჯეფერსონი წერს: „როდესაც ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისა და უზურპაციის კარგა ხნის მცდელობას ყოველთვის ერთი და იგივე მიზანი აქვს, რაც მოწმობს განზრახვას დაუმორჩილოს ხალხი შეუზღუდავ დესპოტიზმს, მაშინ ამ ხალხის უფლება და მოვალეობაა დაამხოს ასეთი მთავრობა".

„მრგვალ მაგიდას" უთუოდ უნდა ჰყავდეს ჯანსაღი ოპოზიცია, რომელიც მალიმალ შეანჯღრევს და მოდუნების საშუალებას არ მისცემს. თუ რამე დაღუპავს ხელისუფალს — ირგვლივ მყოფთაგან—გუნდრუკის უთავბოლო კმევა, ქება მოგეხსენებათ ბრძენსაც ასულელებს. —„რას მიქვიან ტკბილი სიტყვა!.. თვალთმაქცობაა სხვა არაფერი. სიტყვა... მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული აქ აქეთ მოსწიოს, აქ იქით. თორემ ობი მოეკიდება... გული ადგილიდან უნდა მისძრას-მოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა"— ათქმევინებს ილია ოთარაანთ ქვრივს.

ახლა ყოველი ქართველის წმინდა ვალია მხარში ამოუდგეს ბატონ ზვიად გამსახურდიას მამულისათვის ბრძოლაში და არა იმის მოლოდინში უცადოს გული თუ სად და როგორ წაიფორხილებს იგი. იწყება ახალი ბრძოლის ახალი სახეობა. რომელშიც მთელი სიმძიმის წერტილი გონიერ და ენერგიულ ახალგაზრდობაზე უნდა გადმოვიტანოთ. უფროს თაობას კი გავუფრთხილდეთ და არ გადავღალოთ პოლიტიკური სტრესით. როგორც იესოს იგავი ამბობს „არც ახალ ღვინოს ასხამენ ძველ ტიკებში, რათა ტიკები არ დახეთქოს, ღვინო არ დაიღვაროს და ტიკებიც გადასაყრელი არ გახდეს. ახალ ღვინოს ახალ ტიკებში ასხამენ და ორივე გადარჩება".

ვფიქრობ ზედგამოჭრილი რეცეპტია დღევანდელი პოლიტიკოსებისათვის გოეთეს სიტყვები: „ბევრი რამ კაცმა სიმკაცრით უნდა მოაგვაროს, ბევრი რამ კიდევ სიყვარულით. ყველაზე მეტი კი საქმის ცოდნითა და მიუკერძოებელი სამართლიანობით, ვანურჩევლად პიროვნებებისა"...

ყველამ, ჯერ ღვთისადმი მოვიხადოთ ვალი რწმენით, მერე კი მამულისადმი — ერთგულებით სულში კი ეს სიტყვები ამოვიტვიფროთ: „პერ ასპერა ად ასტრა!"—ეკლიანი გზით ვარსკვლავებისაკენ!...

ზვიად ჟურულია.

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ქ. ზუგდიდის საუბნო-საარჩევნო კომისიები

## თბილისის საარჩევნო უბანი № 1

თავმჯდომარე: სორდია ნატო —ტექნოლოგი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მოადგილე: ბაგათელია ბადრი —დროებით უმუშევარი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

მდივანი: კიკელია ნანა—პედაგოგი, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალურმა კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

დარასელია ბადრი —ეკონომისტი, მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტი. წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

ქანთარია ტარიელ —მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი. წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

მეგენეიშვილი დოდო —№12 ბაღის პედაგოგი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

კაკულია მანანა —პედაგოგი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

კობალია მიხეილ— საზოგადოება ცოდნის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე, წარადგინა ს. დ. კ. პარტიამ.

ქირია ნინო— ექიმი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

მიქელაძე ანდრო —ინჟინერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტმა კავშირმა.

გაგოშიძე გურამი —საქონელმცოდნე, უპარტიო.

## ოდიშის საარჩევნო უბანი №2

თავმჯდომარე: ბულია ვახტანგ —ფაიფურის ქარხნის ცვლის უფროსი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მოადგილე: ოდიშარია ელგუჯა— ფაიფურის ქარხნის მუშა, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

მდივანი: ძიძიგური ლამარა—გაზის ტრესტის ინჟინერი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

სილაგავა გიგლა — კოოპერატივ „გოშას" თავმჯდომარე, წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ.

ტომარაძე ციზარ — სტუდენტი, უპარტიო.

ხუნჯუა ლუარა —ეკონომისტი. წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი—რადიკალურმა კავშირმა.

შელია ცაცა —პედაგოგი. წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

ფაცაცია ველოდი—პედაგოგი, წარადგინა მწვანეთა მოძრაობამ.

ჯიქია აბესალომ — ინჟინერი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ.

თორია კონსტანტინე „საზოგადოება „ცოდნის" თავმჯდომარე, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ჯოლოხავა ქეთინო —ეკონომისტი. წარადგინა საქართველოს სახ[illegible]ო ფრონტმა.

## თავისუფლების საარჩევნო უბანი №3

თავმჯდომარე: გახარია ფრიდონი—ინჟინერი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

მოადგილე: ბუკია ოთარი, აგრონომი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

მდივანი: ჯიქია ინეზა—პედაგოგი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

დოლბანძე მურთაზ —ტექნიკოსი—წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

კუტალია გიორგი —ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნულ ფრონტი —რადიკალურმა კავშირმა.

შენგელია თემურ— ვეტექიმი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

კუტალია მერი—ბიბლიოთეკარი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

ჯაბუა ნინელი —საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, წარადგინა ს. დ. კ. პარტიამ.

სახურია ნუნუ —ეკონომისტი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ნემსაძე ბონდო —ელექტროინჟინერი, წარადგინა ლიბერალურ - დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

ბარამია ირმა— ბუღალტერი, წარადგინა მწვანეთა მოძრაობამ.

## რუსთაველის საარჩევნო უბანი №4

თავმჯდომარე: ჯოხაძე როზა —ინჟინერი, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რა[illegible]ურმა კავშირმა.

მ[illegible]ილე: ქურდულია ზვიად —პედაგოგი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მდივანი—ბერიშვილი ნონა—ბიბლიოთეკარი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

კიტია ვაჟა —ინჟინერი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

რუხაძე მზია— ეკონომისტი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

კიტია მაია —ბუღალტერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტმა კავშირმა.

ბასილაია სოფიკო —სტუდენტი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

ყალიჩავა ლარინდა—საქალაქო კომიტეტის სექტორის გამგე, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ანთელავა მზევინარი —იურისტი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

ენუქიძე ვალერი —დროებით უმუშევარი, წარადგინა მწვანეთა პარტიამ.

ფარცვანია მარინა —ბუღალტერი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

## ცოტნე დადიანის საარჩევნო უბანი №5

თავმჯდომარე: ჩახაია გულნარა დამიანეს ასული— ეკონომისტი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

მოადგილე: აბრალავა რეზო თეოფანეს ძე—ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი—რადიკალურმა კავშირმა.

მდივანი: ალანია აზა —ტექნოლოგი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

წ ე ვ რ ე ბ ი:

დავითულიანი დათო —ინჟინერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტმა კავშირმა.

ფიფია ვალტერ —ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

ციმინტია ნონა—ბუღალტერი. წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

ქალდანი მერაბი— ინჟინერი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

ჭინჭოლია ლევანი —ინჟინერი. წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

კემულარია მისო —ბიბლიოთეკარი, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ჰეფია მედა— სტუდენტი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

თოლორაია ზვიადი —ექიმი, წარადგინა მწვანეთა მოძრაობამ.

## წერეთლის საარჩევნო უბანი №6

თავმჯდომარე: კუტალია როზინი —იურისტი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

მოადგილე: ახალაია ბადრი — პედაგოგი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მდივანი: კოზუა ნანა —ბიბლიოთეკარი, წარადგინა მ. კოსტავა[illegible] საზოგადოებამ.

წ ე ვ რ ე ბ ი:

გაბელია ოთარ —მწერთნელი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

ფანგანი დავით— პედაგოგი, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი —რადიკალურმა კავშირმა.

ჭგუშია ნათია—მუშა, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

შელია მურმან —ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

შენგელია ნინო— ეკონომისტი წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

არჩაია გია —მხატვარი, წარადგინა სახალხო ფრონტმა

ავალიანი ემზარ—კოლმეურნე, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

რაფავა ხვიჩა —ეკონომისტი, უპარტიო.

## მშენებელთა საარჩევნო უბანი №7

თავმჯდომარე: ჯახია იზაბელა—პედაგოგი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

მოადგილე: შონია კახა —ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

მდივანი: ლუკავა ია —დროებით უმუშევარი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

წ ე ვ რ ე ბ ი:

რაფავა ნიკო—ინჟინერ-ტექნოლოგი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

ნაჭყებია ოთარ —ინჟინერი—წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ.

შონია გიორგი —ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი —რადიკალურმა კავშირმა.

შონია მერაბი —ინჟინერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

ეგუტია ნოდარ —აგრონომი, პარტიის საქალაქო კომიტეტის პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარე, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ზებგაია ხათუნა—ბიბლიოთეკარი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ნემსაძე არველოდი —ეკონომისტი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

თოლორაია ნინო—წარადგინა მწვანეთა მოძრაობამ.

## მეფაიფურეთა საარჩევნო უბანი №8

თავმჯდომარე: კვარაცხელია სერგო— ინჟინერი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

მოადგილე: თოდუა მოკონა —მუშა, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მდივანი: კონიაშვილი ნინო—ინჟინერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

თოდუა ინგა— დროებით უმუშევარი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

ჰიპალუა მარინა— მუშა, წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი —რადიკალურმა კავშირმა.

მესხია ზაირა— პედაგოგი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

ბერიძე ქეთევანი —ინჟინერი, წარადგინა ს. ე. ლ. პარტიამ.

მიქავა ქეთევანი —პედაგოგი, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

კილასონია ქეთინო —პედაგოგი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ქავთარაძე ჯამბულ—პედაგოგი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

კოვალიოვი ვალერი ივანეს ძე ინჟინერი, უპარტიო.

ქაჯაია ვალტერ —ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი რადიკალურმა კავშირმა.

## პუშკინის საარჩევნო უბანი №9

თავმჯდომარე: ზარქუა იზოლდა—აგრონომი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

მოადგილე: ქვარცხავა ავთანდილ— წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მდივანი: ახალაია დარეჯან—ინჟინერი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

ჯიქია ირმა —მუშა, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

ახალაია თენგო—პედაგოგი, წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი —რადიკალურმა კავშირმა.

ლაგვილავა სოსო —ინჟინერ-მექანიკოსი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

გოგოხია მამუკა—დროებით უმუშევარი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

არდია რეზო —საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ხაბეიშვილი ვაჟა —პედაგოგი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ჟვალიშვილი ზურაბ —მხატვარი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

შეროზია თური—ინჟინერი, გეოფიზიკოსი, წარადგინა მწვანეთა მოძრაობამ.

## ქუთაისის საარჩევნო უბანი №10

თავმჯდომარე —გეგეჭკორი მიმოზა —ინჟინერ-ქიმიკოსი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მოადგილე: მანია აზა —ინჟინერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

მდივანი: ფიფია ნუგზარ —ელტექნიკოსი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

ანთია სოსო—დროებით უმუშევარი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

ბერაძე ლალი—მედდა, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი. რადიკალურმა კავშირმა.

ჯახია გობრონ— ეკონომისტი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

თორდია ბორის —ინსტრუქტორი, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ლაშხია ზურაბ —მსახიობი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ბერაძე მაია —ბიბლიოთეკარი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

ფოცხორაია ფრიდონ —ტექნოლოგი. წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

ესებუა მარინა—ლაბორანტი, უპარტიო.

## რკინიგზელთა საარჩევნო უბანი №11

თავმჯდომარე: მიქენაია ნათელა—ბუღალტერი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

მოადგილე: იზორია რევაზ—მექანიკოსი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

მდივანი: —ჯობავა ლეილა —დროებით უმუშევარი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

წ ე ვ რ ე ბ ი:

ნარმანია ტრისტან—ინჟინერი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

ბენდელიანი თინათინ —დიასახლისი, წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი—რადიკალურმა კავშირმა.

ხარჩილავა ნატო —დიასახლისი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

შენგელია ციცო—პედაგოგი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

ნაჭყებია ჯამბულ—პედაგოგი, წარადგინა საქ. დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ჯიქია გოჩა —ბუღალტერი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

კუტალია ალიოშა თოდენის ძე —სტუდენტი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულ-ეროვნულმა პარტიამ.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

# საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების ქ. ზუგდიდის საუბნო-საარჩევნო კომისიები

(დასასრული)

## მეკონსერვეთა საარჩევნო უბანი №12

**თავმჯდომარე:** მამარდაშვილი ცისანა —ინჟინერი. წარადგინა საქ. ეროვნული ფრონტი—რადიკალურმა კავშირმა.

**მოადგილე:** ბენდელიანი ზოია —ბრიგადირი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

**მდივანი:** ბულია მედიკო—კლუბის გამგე: წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

მირცხულავა ამერანი—ბრიგადირი, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

კვარაცხელია კუჭუჭი— ბუღალტერი. წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

თოდუა გოგი—მუშა, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

ჭითანავა შალვა—მუშა, წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

შეროზია დოდო—ეკონომისტი. წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალურმა კავშირმა.

ხუბუა დათო —საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ქურციკიძე ოთარ გრიგოლის ძე— მსახიობი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ფიტელავა ზურაბ—ინჟინერი, წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ.

## მექალალდეთა საარჩევნო უბანი №13

**თავმჯდომარე:** მესხია გოჩა —ს-გ „საქქალალდმრეწვის" მემანქანე, წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ.

**მოადგილე:** გოგოხია ავთო ინჟინერი, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტმა კავშირმა.

**მდივანი:** ჭანტურია ფატიმა ექიმი, წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ჟვანია ემზარ—მემანქანე, წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ.

ჭგუშია ნანი—ინჟინერი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

ძაკულია ალიკა—ინჟინერი, წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა კავშირმა.

ფიფია ჯანიკო —პედაგოგი, წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

ბერაძე იზოლდა —ეკონომისტი, წარადგინა საქართველოს სახალხო ფრონტმა.

კონჯარია მანანა —წარადგინა ლიბერალურ-დემოკრატიულმა ეროვნულმა პარტიამ.

გულორდავა გურგენი—ინჟინერი, უპარტიო.

დარასელია ელზა—მკერავი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

## საარჩევნო უბანი №14

**თავმჯდომარე:** მინჯორაია გიორგი, ინჟინერი—წარადგინა მერაბ კოსტავას საზოგადოებამ.

**მოადგილე:** კანკია ჯემალ ინჟინერი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

**მდივანი:** ლამბაშიძე ლიანა—ექიმი-სტომატოლოგი, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

მეკუა დაზმირ—ს-გ საქქალალდმრეწვის პარტიული კომიტეტის მდივანი— წარადგინა საქართველოს დამოუკიდებელმა კომპარტიამ.

მაქაცარია კახაბერ —მუშა, წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა კავშირმა.

იოსავა გიორგი —დროებით უმუშევარი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

შედანია ანჟელა —დროებით უმუშევარი, უპარტიო.

კიკალიშვილი გიორგი —მძღოლი, წარადგინა რუსთაველის საზოგადოებამ.

ხვიჩია სვეტა —მუშა, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი— რადიკალურმა კავშირმა.

ცხადაია ველოდი— მუშა, წარადგინა საქართველოს ეროვნულ - ლიბერალურმა კავშირმა.

## საარჩევნო უბანი №15

**თავმჯდომარე:** მიქაია კახა ინჟინერი,—წარადგინა სახალხო ფრონტმა.

**მოადგილე:** ახალაია დარეჯან —მედდა, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

**მდივანი:** ხართანია ქეთინო—მედდა, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ჯიქია ლალი—მედდა, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

განგავა ეთერ—მედდა, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალურმა კავშირმა.

ხვიჩია მანანა—მედდა, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

გულორდავა ელისო —მედდა, წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

ბიგვავა ხათუნა —მედდა წარადგინა საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანულმა პარტიამ.

## საარჩევნო უბანი №16

**თავმჯდომარე:** გრიგოლაია მანონი— ოსტატი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

**მოადგილე:** კაჭარავა მარგალიტა— მედდა, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

**მდივანი:** ოყუჯავა დალი —მედდა, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ჯაფარიძე ციური—მედდა, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

ბაკურაძე აკაკი —პედაგოგი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

მიქავა თემურ—ექიმი, წარადგინა საქ. ეროვნულ-ლიბერალურმა კავშირმა.

ქირია ლარისა —ინჟინერ-ტექნოლოგი, უპარტიო.

## საარჩევნო უბანი №17

**თავმჯდომარე:** ქობალია მაია —ოპერატორი, წარადგინა ჰელსინკის კავშირმა.

**მოადგილე:** როგავა მირანდა —მედდა, წარადგინა წმინდა ილია მართლის საზოგადოებამ.

**მდივანი:** გაგუა ცინარა—ექიმი, წარადგინა საქართველოს ეროვნული ფრონტი —რადიკალურმა კავშირმა.

**წ ე ვ რ ე ბ ი:**

ხასია იზოლდა —მედდა, წარადგინა მ. კოსტავას საზოგადოებამ.

ჩხაპელია ბეჟან—მუშა, წარადგინა ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირმა.

ჩიქობავა ნუნუ—ბუღალტერი, წარადგინა სახალხო ფრონტმა.

ფიფია ხათუნა— ბუღალტერი, უპარტიო.

ქალაქის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
ი. ლურჯაია.
მდივანი ნ. ქანთარია.

რედაქტორი
ალ. ჭანტურია.

---


ზუგდიდის საბროილერო მეფრინველეობის ფაბრიკა სამუშაოდ იწვევს მეფრინველე-ოპერატორ ქალებს, მექანიკოსებს და ელექტრიკოსებს.

ანაზღაურება ოპერატორი ქალებისათვის 350-400 მანეთი, მექანიკოსებისა და ელექტრიკოსებისათვის 400-450 მანეთი.

ზემოთ აღნიშნულ პირებს შეუძლიათ იმუშაონ ხელშეკრულებით და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ ფაბრიკის საცხოვრებელი ბინით.

ფაბრიკის მისამართი: სოფ. ჭითაწყარი, ზუგდიდის მეფრინველეობის საბროილერო ფაბრიკა.

ავტობუსი №21-ის ბოლო გაჩერება.


## უ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

**1991 წლის 20 მაისიდან ქ. ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს სამშობიარო და გინეკოლოგიური განყოფილებები, რომლებიც რემონტის გამო დროებით არ ფუნქციონირებდნენ კვლავ მოემსახურებიან პაციენტებს.**

---

მეუღლე ქეთო, შვილი რიმა. დედა გულიკო. მამა მიშა, ძმები იურა. ტარიელ მამფორიები, ტენორი ფარცვანია, დები: მზია. ნონა მამფორიები, ტანელა ფარცვანია, სიდედრი ჟუნა სორდია, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჯემალ (ჯენერი) მიშას ძე მამფორიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23, 24 მაისს. დაკრძალვა 25 მაისს სოფ. ორულუში.

---

ზუგდიდის საავთიაქო სამმართველოს, ბაზის, ლაბორატორიის და ქსელის თანამშრომლები იუწყებიან

**ალექსანდრე როგავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ფაციკო, ბონდო, გიული, რძლები ნათელა ზარანდია, აზა ქადარია, ქსენია ხუფენია, ეთერ კვარაცხელია. ნინო ახალაია, მული მარო, შვილიშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ჟენია ამბაკოს ასულ ჩახაია-ჯალაღონიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 მაისს. დაკრძალვა 25 მაისს სოფ. კახათში.

---

ზუგდიდის ყრუთა საზოგადოების კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის

**ვლადიმერ ყირიმის ძე ძე გამსახურდიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე თედორე, შვილები: ქსენია, ციალა. ორდე, ბონდო, ზაური, და ნელიკო გელენიძე, სიძე ზური ჯიქია, რძლები: გულნაზი ლუკავა, ლეილა ქირია, ნონა ჯიქია, შვილიშვილები: ემა, ნინო შონიები. პაატა. პაპუნა, ონისე, ჯანიკო. თეა, ნანა, ინდირა. იზა. თენგიზი ბაკარანძეები, სოფიკო. გოგიტა ჯიქიები, ძმისშვილები, დისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ვარდიშა ილას ასულ გელენიძე-ბაკარანძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22, 23, 24 მაისს. დაკრძალვა 25 მაისს სოფ. კორცხელში (ბაში).

---

მეუღლე ნიურა, შვილები: მურმანი, მერაბი. ჟუჟუნა. მაყვალა, დალი, ინეზა აბრალავა, დები: ნურა, ქვიქვი, კუკუშა, რძლები: მიმოზა, მანანა, სიძეები: გურამ შონია, რევაზ ბადრანძე, ბადრი ბესაძე, ევგენ გოლობიანი, კარლო ეხვაია. ბუჭგი საჯაია, სიდედრი ოლგა, შვილიშვილები: შორენა, ალიკა, ლევანი, ლიკა, ნუკრი, ნინო, ბადრი, მარიკა, ბადური, ბაჩუკი. ონისე. დისშვილები: ჯემალი. ლეილა. იზო. გულნაზი. ონერი, ომარი. ინოლა. რეზო, ელისო, დეიდაშვილები: ნოდარი. ქეთო ,ზესაია, იამზე, ამაშუყელები. ბიძაშვილები: მარუსია თურმანიძე, ლუდუკი. კარლო, ალიოშა, მელენტი, გულნარა, ძუირია, მოცო ახალაიები. ცოლისძმა ინდიკო, ცოლისძმისშვილები. ელგუჯა, გოჩა. ცოლისდები: პეპშა, თალიკო, ლუნია. ფაციკო. ნანული. ჭითაშვილები, ახლო ნათესავებით იუწყებიან

**ტიტიკო ბეგის ძე თურმანიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22. 23, 24 მაისს. დაკრძალვა 25 მაისს განმუხურში.

---

ცეკავშირის ზუგდიდის სავაჭრო ბაზის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**ნათია გიას ასულ კარბაიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

შვილები: ელდინო, ქოზა ნარმანიები, და პაშა. სიძე რონ ახალაია, შვილიშვილები: მანონი, მაია. ბადრი. ჯინორი, ჯილდა, რძლები ნორა. ბუცა, მარგო. ძმისშვილები ზაური. გურამი. ნარი, დარეჯანი, გურინა, დინარა. ზოია ქირიები. რევაზი. კოტე. ტატიანა დოლბანძეები, დისშვილები ძიკა ხარჩილავა, კოლია ბაძაღუა. გივი ხურცილავა, ნათელა,. თინა. კარლო ქირიები. ანატოლი, ჯულიეტა, ლამარა, ლურა ლიტვინენკოები, მაზლიშვილი ლორი ნარმანია, მზახლები ქსენია, ამბაკო ახალაიები ოჯახებით იუწყებიან

**ვენერა (ხიფა) მეთოს ასულ ქირია-ნარმანიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 21, 22 მაისს. დაკრძალვა 23 მაისს სოფ. კახათში.

---

შვილები: ნათელა, ჯემალი. ჯამშერი ბუკიები, რძლები: დოდო ბერია, ნონა ღურწკაია, ვარდო ბუკია, სიძეები: ჟირიკო ფარცვანია, ვალერიან ფირცხელავა, შვილიშვილები ქეთო. კალისტრატე, ჯიმი, ლევანი. მარიკა, ძმები: შალვა, რუბენი, მამანტი, შაქრო, დათო. რძლები: ჟუჟუნა, გუგუ, ხათუნა, ვალია, ნუნუ კანკიები, მული თამარა, დისშვილი ნონა კოდუა, მზახლები: მავრა ბერია, დაფინო. რამინი ღურწკაიები, ძმისშვილები, მულიშვილები, მაზლიშვილები ოჯახებით იუწყებიან

**მარუსია ვასილის ასულ კანკია-ბუკიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 მაისს. დასაფლავება 25 მაისს 17 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, კოლხეთის ქ. 159-დან.

---

ლოლა ჭითანავა შვილებით იუწყება ბიძაშვილის

**დავით (დათიკო) ნიკიფორეს ძე ქირიას**

გარდაცვალებას. დასაფლავება 23 მაისს ქ. გალში. გამოსვენება ლენინის ქ. 85-დან.

---

რძალი ლუიზა გოგშელიძე, შვილიშვილები: მიშიკო, მონიკა კუხალეიშვილები, მული ლულუ, ძმისშვილები: თემური, ინეზა, ლია. ხათუნა. დალი. ირა სალაყაიები, რძლები: ლიდა. ტატიანა. ნანული. ლიდია, ელგა, ალა, მაზლიშვილები: ბორია, ირა კუხალეიშვილები. ციალა. ირა ჩაჩიბაიები. ლუდუკი. ვაჟა თორდიიბი, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კასიანა ვლადიმერის ასული სალაყაია-კუხალეიშვილი.**

პანაშვიდი 23, 24 მაისს. დაკრძალვა 25 მაისს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, პუშკინის ქ. 11-დან.

---

შვილები: რეზო, გიგლა, გრამიტო, რაული. რძლები კლარა ხასაია, დარეჯან მიქავა, დოდო ბასილაია, და მანანა, შვილიშვილები: ლელა. მაკა, ნათია სევერიანე, შორენა, ლიკა. ნიკა ბულიები, ძმისშვილები: ნაირა, როლიკი, დისშვილები: თალიკო, დინარი, ლულიკო, ლუბინა. მევარი მაქაცარიები. ნათელა, რაისა, ლიანა ჯიჭონაიები, ალიკო, კაკო თოდუები, ცოლისძმები: ლავრენტი ცანავა, ნაპო, ნოდარი ქოჩუები, ცოლისდები: ვალენტინა, მარო, მალინა, ბაბუცა ცანავები, არეთა ქოჩუა ოჯახებით და ახლო ნათესავებით იუწყებიან

**სევერიანე უჩის ძე ბულიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24 მაისს 15 საათზე, დაკრძალვა 25 მაისს სოფ. ოდიშში, გამოსვენება კალინინის ქუჩა 66.

---

№12 ტრესტის მრეწველობის მომარაგების და მექანიზაციის გრძნობს კომბინატის მთავარ ბუღალტერს მარგარიტა თურმანიძეს სიძის

**ანატოლ ხოფერიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---


ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ. 56. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2 33 69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2 17 69.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-23 07, ტირაჟი 8000 შეკ. №1997